# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 53

„2" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

### საქართველოს საპატრიარქოსათვის თხოვების ფორმით მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61–ე მუხლის მე-2 ნაწილის, 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ" ქვეპუნქტის, და 75-ე მუხლის ,,დ,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მის საკუთრებაში არსებული ორი სატრანსპორტო საშუალების ,,Renault Megane" სახელმწიფო N00S-937, საიდენტიფიკაციო NVPILMIBOH32500503, გამოშვების წელი - 2005, საწყისი საბალანსო ღირებულება -32750,00 ლარი და ,,Renault Megane" სახელმწიფო N00S-947, საიდენტიფიკაციო NVPILMIBOH32500363, გამოშვების წელი - 2005, საწყისი საბალანსო ღირებულება - 32750,00 ლარი, საქართველოს საპატრიარქოსათვის ხუთი წლით თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი